2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

ქ. დმანისი

2023 წელი

DMANISI MUNICIPALITY Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY Date: 2023.06.19 15:56:29 +04'00'

სატენდერო კომისიის წევრები:

1. **კახა პეტრიაშვილი**- დმანისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- **კომისიის თავმჯდომარე;**
2. **მალხაზ გვიჩიანი** - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **თემურ ტატულაშვილი** - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **კომისიის წევრი;**
4. **ლევან მანთაშაშვილი** - მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- **კომისიის წევრი.**
5. **ბექა ლაგურაშვილი** - იურიდიული განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **კომისიის წევრი.**

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები.

1. **გიორგი ტატუაშვილი** -მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - **აპარატის წევრი.**
2. **თამუნა ნინიაშვილი** -მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **აპარატის წევრი.**
3. **ეკა ციხელაშვილი** - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **აპარატის წევრი.**
4. **შოთა ყულიაშვილი** - დამხმარე მოსამსახურე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში- აპარატის წევრი

დღის წესრიგი:

დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის, სოფელ კიზილაჯლოს რეზერვუარისა და წყალსადენის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოების (45200000;), ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის **განხილვა-დამტკიცება და ტენდერის ორგანიზება.**

განხილვა:

აპარატის წევრმა, ეკა ციხელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" 2017 წლის 14 ივნისის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №12 ბრძანების შესაბამისად, დამუშავებული ტენდერის ორგანიზებისათვის საჭირო სატენდერო განცხადების პროექტი, სატენდერო დოკუმენტაცია რომლის ატვირთვაც დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში.

ტენდერისათვის, საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შესყიდული იქნა ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, ხოლო სატენდერო პირობების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, დამატებით გაკეთდა ანალიზი მსგავსი მახასიათებლების მქონე შესყიდვის ობიექტის წარსულში გამოცხადებული 3(სამი) სხვადასხვა ელექტრონული ტენდერების, რომელთა ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს, ან არაუმეტეს 20%-ით აღემატება/ნაკლებია გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სავარაუდო ღირებულებაზე. ანალიზი, ასევე გაუკეთდა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის სხვა მოდულებში განთავსებულ ინფორმაციას. ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია წარდგენილ იქნა 05-1082317041 მოხსენებითი ბარათით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შესყიდულ დოკუმენტაციაზე და მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩამოყალიბდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულება და სატენდერო პირობები.

სატენდერო განცხადების პროექტი:

- **ტენდერის ტიპი:** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე
- **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება:** 449`105 GEL
- **სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს:** დღგ-ს გათვალისწინებით.
- **დაფინანსები წყარო:**ადგილობრივი ბიუჯეტი - 97% ; სახელმწიფო ბიუჯეტი-3%.
- **შესყიდვის კატეგორია:** 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები; 45231300 - წყლისა და საკანალიზაციო მილსადენების მშენებლობა

- **დამატებითი ინფორმაცია:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სოფელ კიზილაჯლოს რეზერვუარისა და წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია
- **მოწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 (ასოცი) კალენდარული დღის ვადაში
- **შეთავაზების ფასის კლების ბიჯი:** 4`491 GEL

კომისიამ დაადგინა:

ა) დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი.

ბ) სატენდერო კომისიის აპარატს დაევალოს სატენდერო განცხადების განთავსება და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

კომისიის თავმჯდომარე : კ.პეტრიაშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; მ.გვიჩიანი

კომისიის წევრი: თ.ტატულაშვილი

კომისიის წევრი: ლ.მანთაშაშვილი

კომისიის წევრი: ბ. ლაგურაშვილი

კომისიის აპარატის წევრი: გ.ტატუაშვილი

კომისიის აპარატის წევრი: თ.ნინიაშვილი

კომისიის აპარატის წევრი: ე.ციხელაშვილი

კომისიის აპარატის წევრი: შ. ყულიაშვილი